თბილისის "დინამოს" გამარჯვება

რიგა (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.) რიგის "დაუგავას" ფეხბურთელთა კოლექტივმა წლევანდელი ჩემპიონატი ძლიერად დაიწყო. გამარჯვებები "ზენიტსა" და კიევის "დინამოსთან" აგრეთვე ფრე ლენინგადის დინამოელებთან რიგელთა კარგ მომზადებაზე მეტყველებენ.

2 მაისს მორიგ კალენდარულ მატჩში "დაუგავა" თავის მოედანზე შეხვდა თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს. თამაში მასპინძელთა ენერგიული იერიშებით დაიწყო, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან დინამოელებმაც, მაგრამ ორივე გუნდის მცველები ფხიზლად დარაჯობდნენ თავიანთ ზონას და დროულად ასწრებდნენ საშიში მდგომარეობის ნეიტრალიზაციას. პირველივე წუთებიდან აღებული სწრაფი ტემპი გუნდებმა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ანგარიში ვერ გახსნა.

უფრო დაძაბული გამოდგა მატჩის მეორე ნახევარი. თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და აქტიური შეტევა წარმართეს. 73–ე წუთზე ჯოჯუამ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა თბილისელთა ერთ–ერთი იერიში.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ" ანგარიშით 1:0.

“ლელო”, 9 მაისი 1951 წ.